პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDJAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

გამოცემის 10-ე წელი

შაბათი, 23 ივლისი, 1949 წ. № 145 (8448). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წიგნის პროპაგანდა ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).
სამგორის სახალხო მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
მოდის შირაქის კური (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის „მეზობლებზე“-ბატონებისა და დიდი ბრიტანეთის ნოტებზე (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
ა. კოკლაშვილი — ნაშრომი კოლანდიაში მოქმედ ქართველ პარტიზანებზე (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
წიგნი მასსებს! (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

წიგნის პროპაგანდა ჩვენი მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია

საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში მოწინავე კულტურის მედროშეა. ჩვენს ქვეყანაში განუზომლად გაფართოვდა ხალხთა მასების კულტურული ჰორიზონტი. მშრომელთა ფართო ფენები დაეუფლენ ცოდნას. წიგნი, ჟურნალი, გაზეთი ხალთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებად გადაქცა, ვინაიდან წიგნშია ყოველივე, რაც კაცობრიობის გენიას საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებია. წიგნში ვეცნობით ადამიანთა გამოცდილებას, ვიძენთ ცოდნას. წიგნით შეძენილი ცოდნა გვეხმარება პრაქტიკულ მუშაობაში.

მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის დიადი იდეების პროპაგანდა უშიგნოდ წარმოუდგენელია. წიგნებში თავმოყრილია ხალხთა დიდი ბელადების უკვდავი აზრები, დიდი მეცნიერების გენიალური შემოქმედება, მეცნიერებისა და ტექნიკის ძიებანები. „რაც კი რამ არის ჩემში კარგი,—ამბობდა დიდი მეცნიერი მაქსიმ გორკი, — ყველაფერი წიგნებითაა“.

საბჭოთა წიგნი ძლიერია თავისი იდეურობით, ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გაშუქების უნარით. კაპიტალისტური სამყაროს წიგნები მშრომელებს უმალავენ სინამდვილეს, დამახინჯებულად წარმოუდგენენ ცხოვრებას, ცდილობენ დაუსაბუთონ კაპიტალიზმის სიცოცხლისუნარიანობა, დაანმენონ მშრომელთა გონება, აიცდინონ მასები განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას და ამით გაახანგრძლივონ კაპიტალიზმის სიცოცხლე. ასეთი წიგნები მასებს კი არ ესახურება, არამედ მათ უპირისპირდება, მათდამი მტრულ დამოკიდებულებაშია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ „ერთერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ნეულ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დავაჩრა, არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან... ახლა ჩვენ სტატისტიკი და სტატიები ყოველდღიურ და ყოველკვირეულ მუშაობასთანაა დაკავშირებული“.

ჩვენს ქვეყანაში წიგნისა და მასების გათიშვა დიდი ხანია ლიკვიდირებულია. საბჭოთა წიგნის მდიდარი ასორტიმენტი და მისი მოცულობის გაფართოება ჩვენი სოციალისტური იდეოლოგიის სრულ ზრდასა და გაფურჩქნას, ჩვენი კულტურისა და მეცნიერული შეგნებულობის სრულ აყვავებას მეტყველებს.

ვ. ი. ლენინი თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობდა წიგნის გავრცელებას, მის განაწილებას ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში, მასებისათვის წიგნის მიწოდების ორგანიზაციას. ჯერ კიდევ ცარიზმის ბატონობის პერიოდში, 1913 წელს „რაბოჩაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ლენინი მოითხოვდა, რომ ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომი გამხდარიყო მასებისათვის, ხალხისათვის. 1917 წლის ნოემბერში პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის მუშაკებისადმი მიწერილ წერილში ლენინმა დასახა საბიბლიოთეკო მუშაობის ძირითადი პროგრამა. ლენინის ინიციატივით მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი დადგენილებები ბიბლიოთეკებისა და საჭიროხელოვნების რიცხვის გადიდებისა და მოსახლეობაში წიგნის გავრცელების ზრდის შესახებ.

ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენში გაიმარჯვა კულტურულმა რევოლუციამ. თუ რა წარმატება აქვს საბჭოთა ქვეყანაში წიგნის გამოცემასა და გავრცელებას, ამას მკაფიოდ მოწმობენ ცხოვრებიდან აღებული ფაქტები. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 1946-1948 წლებში 2.966 წიგნი გამოცა 15 მილიონ 430 ათასი საერთო ტირაჟით. ეს იმ დროს, როდესაც 1913 წელს გამოცემული იყო მხოლოდ 247 სახელწოდების ქართული წიგნი, რომლის საშუალო ტირაჟი 1.500-2.000 არ აღემატებოდა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის სწრაფ ტემპს ქვალიკავდა მიჰყვება საბჭოთა წიგნის, მათ შორის ქართული წიგნის, გამოცემისა და გავრცელების ტემპი. საბჭოთა წიგნი არა არის ინტელიგენციის, მეცნიერთა, სპეციალისტთათვის არის ხელმისაწვდომი, არამედ იგი მასების კუთვნილებაა. ათეულ მილიონობით ადამიანი იღებს თვითეანაღლებას წიგნის საშუალებით, იმაღლებს იდეურ დონეს. შრომის ახალი მეთოდების შემოღებასა და დანერგვაში ჩვენი ნოვატორების დამხმარე და მეგობარი წიგნია. ასე გახდა „წიგნი შრომელი მასების ხელში მძლავრი იარაღი კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად, იარაღი მათი შეგნებულობისა და კულტურის ზრდისათვის. დიდი სტალინის მითითება, რომ „ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული გავხადოთ“, ჩვენს ქვეყანაში წარმატებით სრულდება.

ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კადრების იდეური ზრდის საქმეში დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის თხზულებათა ქართულ ენაზე გამოცემას, ძრავალ წიგნს მეცნიერებისა და პოლიტიკური ცოდნის სხვადასხვა დარგებიდან, მხატვრულ ლიტერატურას.

მიუხედავად წარმატებებისა, წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმეში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია წიგნის გაფორმება, ბეჭდვის ხარისხი, წიგნებში არის კორექტურული შეცდომებიც. ზოგჯერ იცვლება მეცნიერ-ტიპაჟინი და მაღალფასიანი წიგნები, ეს ანელებს წიგნის გავრცელებას. მოიუნელად მუშაობენ წიგნით მოვაჭრე ზოგიერთი ორგანიზაციებიც. მაღაზიებისადმი გასაგზავნი წიგნების შერჩევა ხშირად არ ხდება მკითხველთა მოთხოვნილების, გემოვნების, მომზადების დონის, რაიონების საწარმოო სპეციფიკურობის გათვალისწინებით. მრავალი საინტერესო წიგნი დროულად ვერ აღწევს მასობრივ მკითხველამდე. წიგნი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა, ხშირად უყურადღებობით ხუნდება და ჯუჯყიანდება მაღაზიების თაროებზე. ცეკავშირის სისტემის სოფლის ზოგიერთი სავაჭრეებში წიგნები ხშირად რკინეულობასთან ერთად აწყვია და ფუქდება. ჯერ კიდევ სუსტია წიგნის გაყიდველთა კავშირი ბიბლიოთეკებთან და კულტურულ დაწესებულებებთან. წიგნის ვაჭრობას ადგილებზე არ ეკუთვნა ჯეროვანი ყურადღება. ამიტომ ცოტა რიგია წიგნის ჩაწოლის შემთხვევები მაშინ, როდესაც საჭიროვნო და კულტურული დაწესებულებანი, ბიბლიოთეკები და წითელი კუთხეები, მკითხველები ამა თუ იმ წიგნის ნაკლებობას განიცდიან.

ნეალ, 24 ივლისიდან დაიწყება წიგნის კვირეული. კვირეულის მიზანია რაც შეიძლება მეტი რაოდენობის წიგნი მივიტანოთ მასებთან, გავავრცელოთ ისინი, მივიკეთ მკითხველს მოთხოვნილებისამებრ მისი სულიერი საზრდო— საბჭოთა წიგნი.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და საწარმოებში, ეუჩებსა და მოედნებზე, ბაღებში, კულტურისა და დასვენების პარკებში, ყველა ხელმისაწვდომ პუნქტში უნდა მოეწყოს წიგნის ვაჭრობა. წიგნის ბაზარი, მაღაზიები, ეიოსკები, კულტმაღაზიები, ცეკავშირის სისტემის სავაჭრობები დროულად უნდა იქნან უზრუნველყოფილი გასაყიდი ლიტერატურით. წიგნის სავაჭრო წერტილი სათანაოდ უნდა გაფორმდეს პლაკატებით, ლოზუნგებით, თვალსაჩინოდ გამოიფინოს წიგნები არა მარტო მაღაზიებში, არამედ ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებშიც.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღონ წიგნის კვირეულის ჩატარებაში, გადაკვრით გაამლიერონ წიგნის პროპაგანდა მასებში, საწარმოებსა და კოლმეურნეობებში. განუმარტონ მშრომელებს წიგნის მნიშვნელობა, მოაწყონ მოხსენებები, საუბრები, ცალკეულ წიგნთა პოპულარიზაცია. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ჩვენი აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მრავალრიცხოვან არმიას, ქალაქისა და სოფლის აქტივისტებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, კულტურულ ძალებს. წიგნის გამყიდველი თავისი საქმის პროპაგანდისტიც უნდა იყოს.

წიგნის პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების მნიშვნელოვანი უბანია. პარტიული ორგანიზაციები დაინტერესებული უნდა იყვნენ, რაც შეიძლება დროულად მივაწოდოთ წიგნი მკითხველს, რაც შეიძლება დროულად წაიკითხოს მშრომელმა იმის შესახებ, რაზედაც ის ფიქრობს, რაც მას აღელვებს. აი, რა შეგნებით უნდა მოვეკიდოთ წიგნის კვირეულის ჩატარებას.

უფრო ღრმად, უფრო მტკიცედ შეკეაკეროთ წიგნი კომუნისტური საზოგადოების მშენებელ საბჭოთა ადამიანებს.

ფართოდ გავავრცელოთ წიგნი მასებში!

ბელორუსულ ენაზე გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა V ტომი

მინსკი, 18 ივლისი. (საჯუნი). ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ ბელორუსულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა V ტომი. თარგმანი შეასრულა საკავშირო ვ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბელორუსიის ფილიალმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ციფრუსოვანი კულტურების სანერგეთა მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ სანერგე მეურნეობისადმი რაიონული პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების არასაკმარისი ხელმძღვანელობის შედეგად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ციტრუსოვანი კულტურების სარგავი მასალის გამოყენის საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები 1948 წლის ციტრუსოვან მცენარეთა ოკულანტების გახარების მხრივ აქვთ ფოთის რაიონს, სადაც გახარება შეადგენს 13 პროცენტს, ჩოხატაურის რაიონს—41 პროცენტს და ხობის რაიონს—52 პროცენტს.

სოფელ პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ფირცხალავა, სანერგის გამგე ამხ. ფიჩხაია) 35.966 ოკულანტიდან გაიხარა მხოლოდ 2.980 ოკულანტმა ანუ 8,3 პროცენტმა, ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაციხის კოლმეურნეობა „ვაზში“ (თავმჯდომარე ამხ. ბოცვაძე, სანერგის გამგე ამხ. ვარჭინაშვილი) 25.000 ოკულანტიდან გაიხარა 5.200 ოკულანტმა (21 პროცენტამდე).

ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ა. ეხვაია, სანერგის გამგე—ამხ. ე. ბიგვავა) აგრეთვე 25.000 ოკულანტიდან გაიხარა მხოლოდ 3.000 ოკულანტმა ანუ 12 პროცენტმა.

ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. წულუკიძე, სანერგის გამგე ამხ. თამაზაშვილი) ლიმონების გახარებამ შეადგინა არაუმეტეს 14 პროცენტისა.

სერიოზული დარღვევები არის აგრეთვე 1949 წლის გაზაფხულზე დარგული ტრიფოლიატის სანერგეთა 1948 წლის ოკულანტების მოვლის საქმეში. აჭარის ასს რესპუბლიკის სანერგეებში დარგულ 3.120.000 სანერგიდან 150.000-ზე მეტი სანერგე გახმა, ხოლო 860.000 ძირი აღმოჩნდა არასტანდარტული, რაც ერთად შეადგენს 32 პროცენტს.

ბათუმის რაიონის ვორონცოვოს სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ციხაია, სანერგის გამგე ამხ. ჯორმანეაძე) არსებულ 70.000 სანერგიდან 30.000 სან

სავსებით უვარგისია საზაფხულო ოკულირებისათვის, ხოლო დანარჩენიდან უმრავლესობა არასტანდარტულია.

იმავე რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ვარშანიძე, სანერგის გამგე ამხ. დევიძე) და სოფელ კახაბერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ცეცვა, სანერგის გამგე ამხ. შარაძე) არსებული სანერგეები სანახევროდ არასტანდარტულია.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (სანერგის გამგე ამხ. ლორია) წელს დარგული სანერგეის გახარება არ აღემატება 70 პროცენტს, არ წარმოებს დაღუპულ ნარგავთა რემონტი, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობაში არის 1948 წელს დათესილი 70.000 სანერგე. ცუდი მოვლის გამო სანერგეები არ იზრდება.

ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. შონია, სანერგის გამგე ამხ. ჯაკობია) ოკულანტები და სანერგეები მოუვლელია, მცენარეები ზრდაში ძალიან ჩამორჩენილია და ზომებს მოვლის გასაუმჯობესებლად არავინ ღებულობს.

სანერგეებისა და ოკულანტების ასეთი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ არასაკმარისად ასრულებდნენ მოვლის სამუშაოებს, ბევრ სანერგეში არ შეჭრონდათ ორგანული და მინერალური სასუქები, არ წარმოებად რწყვა და სუსტი მცენარეების გამოკვება წუნწუხით.

ოკულანტების აჭრა კვირტზე ზუგდიდის, ლანჩხუთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებში ჩატარებულია ცერების დატოვებით, რითაც მცირდება ნერგების ხარისხი.

ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის, ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის და მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში ნერგების დაგვიანებით ხდება ტრიფოლიატის საძირეების ამონაყრების შეცლა 1948 წლის ოკულანტებზე.

აჭარის ასს რესპუბლიკის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების კოლმეურნეობებში ტრიფოლიატის საძირეებისა და ციტრუსოვან მცენარეთა ნერგების მკურნალობა მეტწილ შემთხვევებში არ ხორციელდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, ციტრუსოვანი კულტურების რაიონების რაიონულ კომიტეტებსა და პარტიის რაიკომებს:

ა) შეამოწმონ სამუშაოთა მდგომარეობა ციტრუსოვან მცენარეთა სანერგეებში და უზრუნველყონ ოკულირებისა და საძირეების მოვლის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა;

ბ) მოაწყონ ტრიფოლიატის საძირეების გამოკვება ნაკელის წუნწუხით ან აზოტიანი სასუქებით დაწესებული ნორმების მიხედვით, ხოლო განსაკუთრებით სუსტი საძირეები გამოკვებონ ყოველ 10 დღეში ერთხელ;

გ) გვალვიან პერიოდებში ყველა სანერგეში უზრუნველყონ ტრიფოლიატის თესლნერგების, საძირეებისა და ოკულანტების რწყვა და ნიადაგის სისტემატური გაფხვიერება, რათა ნიადაგი ყოველთვის იყოს ტენიანი და ფხვიერი;

დ) უზრუნველყონ უმოკლეს ვადაში სარების ჩაღება და მათზე ციტრუსოვანი ნერგების აკვრა, აგრეთვე ოკულანტებზე გარეული ამონაყრების სისტემატური შეცლა, რისთვისაც პრაქტიკაში შემოიღონ ყველა ნერგთა შემოვლა ყოველ ხუთ დღეში ერთხელ;

ე) 1948 წლის ოკულანტებზე არაუწორად დატოვებული ცერების აჭრა მოახდინონ პირველი ვეგეტაციის დამთავრების შემდეგ (ივლისის ბოლოს) და ჭრილობის ადგილს დაუყოვნებლივ წაუსვან ბაღის მალამო;

ვ) დროულად გააფორმონ სავალდებულო წესით ნერგები და უზრუნველყონ 2-3 განსტოების მქონე სტანდარტული ნერგების მიღება დაწესებული რაოდენობითა;

ზ) ტრიფოლიატის საძირეებსა და ციტრუსოვან მცენარეთა ნერგებს ბორდოს სითხის ერთპროცენტიანი ხსნარით უმკურნალონ ყველა სანერგეში არანაკლებ, ვიდრე სამჯერ ვეგეტაციის პერიოდში, ხოლო გოგირდკირის ნახარშის შესხურება ან გოგირდის შეფვრეცვა მოახდინონ ტკიპების მაგნე მოქმედების გამოჩენისთანავე.

ხვეტარის მატლების გამოჩენის შემთხვევებში აწარმოონ კალციუმის არსენატის შეფრქვევა ან პარიზის მწვანის შესხურება;

მ) ყველა სანერგეში გაწმინდონ წყალსაწრეტი და საერეკავო თხრილები, ამასთან არ დაუშვან წვიმიან დღეებში წყლის ჩადგომა, სისტემატურად აწარმოონ სარეველების შემოთიბვა თხრილებისა და გზების გასწვრივ.

2. დაევალოს რაიალმასკომებს და პარტიის რაიკომებს უზრუნველყონ „ციტრუსოვანი კულტურების სახაფხულო ოკულირების 1949 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 6 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მაღალხარისხოვანი შესრულება.

3. სსრ კავშირის ახალ რაიონებში გასაგზავნად განკუთვნილი ნერგების ხარისხოვანი შეხახვის უზრუნველსაყოფად ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ააგოს 1949 წელს ციტრუსოვანი კულტურების სახელმწიფო სანერგეში გრუნტის 35 ჰექტარი ფართული 1.310.000 მანეთის ღირებულებისა ციტრუსოვან ნაყოფთა დამზადების აგრონომიდის საპროცენტიანი ანარიცხების ხარჯზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააძლიეროს სანერგეებისადმი ხელმძღვანელობა, სისტემატურად შეამოწმოს მათი მდგომარეობა, ოკულირების მიმდინარეობა და გაუწიონ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს დახმარება სტანდარტული ციტრუსოვანი ნერგების გამოყენების გეგმის შესრულებაში.

5. დაევალოს რაიალმასკომების თავმჯდომარეებს და პარტიის რაიკომების მდივნებს ა. წ. 15 სექტემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ პარტიულ, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოებს რადიკალურად გაუმჯობესონ სანერგე მეურნეობის მდგომარეობა, რათა მომდინარე წელს უზრუნველყოფილ იქნას მაქსიმალურად შესაძლებელი რაოდენობის სტანდარტული ნერგების მიღება ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისა და სსრ კავშირის ახალი რაიონებისათვის ნერგების მიწოდების დავალებების შესასრულებლად.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

შენს საღლეგრძელოდ, ჩვენო ქვეყანავ!

სულ უფრო ძლიერდება ქართველი ხალხის ბრძოლა სამგორის მიწის გასაცოცხლებლად, თვალწუნდენ სიგრძეზე გაპყავი ღრმა დიდი არხი. მკლავს ძალას მატებს მშენებელთა ენთუზიაზმი, დინჯ და რაინდულ კახურ ბანგთა ხმელერის ძალა, არაგვისპირელ მელოდიათა მომხიბვლელი ლირიკა და იმერელთა ცეცხლოვანი ლაზარეკა. ალმოსავლეთ საქართველოს მშრომელთათვის დახმარების გაწევის მისწრაფებამ, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მითითების წარმატებით შესრულების ინტერესმა!

* * *

19 ივლისს ზესტაფონის სადგურზე სამგორის მშენებლობაზე წასასვლელად ხალხს თავი მოეყარა. უჩვეულო მგზავრებით აივსო სადგურის წინა მოედანი, მახლობელი ბაღი, პერონი. ჩამოდგა მატარებელი.

სიმღერისა და მუსიკის ხმას ნიავი ახლომახლო ეუბნებს ბუეინვა, არაგვთარი ფუსფუსი, არაგვთარი არეკ-დარეკა. უალრესად დისციპლინებული მხედრობის წესრიგით სამგორზე მომავლებმა, ვაგონებში ადგილები დიაკვეს. უკანა ვაგონებში სასაუნლე ბორავი, ხუთსაათი ჩატვირთეს, მატარებელზე გრძელი წითელი ფარჩა გამოფინეს ასოთა წარწერით:

— „სამგორი სახალხო მშენებლობა». ყველა ჩაიანის კოლმეურნეობებმა უნდა მოიღონ მონაწილეობა საქართველოს სს უმნიშვნელოვანესი სარწყავი სისტემის აგებაში“ (კ. ჩარკვიანი)“.

დაიძრა მატარებელი და იმ საღამოს ყველანი ზემო-სამგორის მაგისტრალური არხის იმ უბანზე დასანაკვანენ, სადაც იერის წყალი ხელოვნურ გვრიალში უნდა შეეჭეს, რათა „ოთბილისის ზღვა“ წარმოქმნას.

სიგრილე არ იგრძნობოდა, თუმცა ბორიო ჭკრდა ბალდოსა და გომბორის მხრიდან. რიგოვ კი მეორე დღის გარიჟრაჟზე ტრიფოლიატიდან ბეგდმოიხედა ბარეული სიმაღლეებიდან, ზესტაფონელები არხის ტრასზე იყვნენ განლაგებულნი, გაჩაღდა შრომა, მიწასთან ადამიანის ბრძოლაში სამგორს ბდღვარი ასდიოდა.

— ჩვენებური კოლმეურნეების მუშაობას, ვგონე ენა ერთ არ დადგების, ფარული სიამაყის ოფლაგ შესამჩნევი კილოთი აღნიშნავდა საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი სერგო საყვარელიძე უბნის უფროს ინჟინერ ირაკლი თვალამეისთან საუბარში.

—ჯერ ჯერობით არავითარ შემთხვევაში, მაგრამ... სიცხე წამოვა სულთამბუთაკი!

ამასაც დასძიეს ხალხის ძალა და გულში ამოჩრილი გადაწყვეტილებაო, იგრძნობოდა რაიკომის მდივნის უსიტყვო პასუხი თავისებურ გამოხედვაში.

ცოტა ხნის შემდეგ სახელოსანი ბინაზე ზესტაფონელ კოლმეურნეთა ხელმძღვანელების თათბირი გაიმართა: სიცხეში ხალხს უნდა გაუკეთებლოთ მუშაობა—ცივი წყალი უხვად და ხშირად, ქარგი საუნაგ, ქარგი სადილი, ხაჩრდილობელი ადგილების მოწყობა ცალებისათვის. შეადინახან კი სარეთო დასვენება, სარეთო სეფა და კულტურული გართობა.

ყველას გარკვეული ფუნქციის შესრულება დაეკისრა, ყველას გარკვეული საქმე მიანდეს. ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ანდრო ვიორგაძე, ინჟინერება გერონტი ფერაძე და ალექსანდრე აბუსელი, ეკონომ კოტე ბაკალარიძე, რაიონიდან ჩამოსული აქტივისტი მუშაკები ავთანდილ ღამბაშიძე, ამბროსი დეკანაძე, ვარლამ თორნანიძე, ბევრი სხვაც მათ შორის იყვნენ. საველე გაზეთიც უნდა გამოეშვათ, სოციალისტური შეჯიბრებაც გაეჩაღებინათ, საკუთარი მკლავის ძალითაც უნდა წაბრძანდნენ კოლმეურნეებს იქ, სადაც ამის საჭიროება იქნებოდა.

ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა, გარდა დასასვენებელი საათებისა, არხზე მუშაობა, ხოლო ხალამის, როცა შეეჯიბრების პირველი შედეგები შეაჯამეს, რაიონული გარდამავალი წითელი დროშა ქვემო ხაზანოს სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობებიან წამოსული ჯგუფების ნაკეთთან აფრიალდა.

* * *

ზესტაფონელების სამუშაო უბანზე დაფლავი, დიადი სახალხო შრომის გეგუნია, სამგორის მიწის გასაცოცხლებლად ბრძოლაში პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებიან სოფელ ბოსლევის კოლმეურნეობის „წითელი ოქტომბრის“ ნეკრთა ჯგუფი, რომელთაც დავით ჭეკლიძე ხელმძღვანელობს, სოფელ ილემის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან წამოსული ვახტანგ საყვარელიძის ხელმძღვანელობით და არაგვეთელი კოლმეურნეები, რომელთაც მეთაურად მაოივე თავმჯდომარე ალექსანდრე გიორგაძე ყავეთ. ბევრნი სხვებიც პირველობის კანდიდატები არიან. ლადი, ეკვანი და ირიდი ხიდაშლები, კომკავშირელი ბორის წაკაძის, ვანო კვინიკაძის, გიორგი ბრეგვაძის, ვლადიმერ თვარელიძის, აკაკი ხუსკოვაძის ჯგუფებს შეჯიბრება.

დღეით შრომაა გამეფებული სამგორის ამ კუთხეში, ღამითაც, სანამ თვალი ეიოტა ერგნობს, არ იმუშლებენ ჩამოსულნი, ხოლო შემდეგ... ნაშრომი ხალხი საველე სარეთო სუფრას შლიან, ყანწები ივსება სვარეულით და საქარულით,.. და პირველ ლუკმას, პირველ ხასმოს თან აყვეკნი ძვირფასი სიტკვა, მხოლოდოს ყველა ენაზე უთვალავჯერ განმეორებული დიადი სიტკვა—საბჭოთა ხალხისათვის ყველაზე საყვარელი სახელი, ჩვენი დიადი ცხოვრების შემოქმედის, ხალხთა მამისა და ბელადისა.

— დიდ ხანლინს სიცოცხლე და გამარჯვებას! ყოველდღე ახალი ხალი მოდის სამგორის ველზე. შრომობენ, იბრძვიან ხამრბლოს შვილები, ხახალო დოფალთის გასადიდებელ, ბრწყინვალე მომავლის მოსახალოებლად.

შენს საღლეგრძელოდ, ჩვენო ქვეყანავ, დიდო საბჭოთა სამშობლოვ!

დ. ლომთაძე

თამბაქოს შეჯება

საქართველოს მეთამბაქოეებმა ივლისის მეოთხე ხუთდღიურში თითქმის იმდენივე თამბაქო შეტეხეს, რაც სულ 15 ივლისისათვის იყო შეტეხილი. მოლიანად ერესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეტეხილი თამბაქოს რაოდენობა 20 ივლისისათვის 6.983.156 ზონარმეტრს აღწევს.

ლაგოდეხის რაიონში შეტეხილია თითქმის 3 მილიონამდე ზონარმეტრი თამბაქო, მარნეულის რაიონში ერთნახევარი მილიონზე მეტი, ხოლო აფხაზეთში — 1.493.000, აჭარაში — 104.680, სიღნაღის რაიონში—415.980, ბოლნისის — 282.250, ყვარლის — 248.182, ზუგდიდის — 57.309, ჩოხატაურის რაიონში — 19.200 ზონარმეტრი.

თიბვა კოლმეურნეობებში

20 ივლისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში გათიბულია 69.348 ჰექტარი ბალახი, რესპუბლიკური გეგმის 28,9 პროცენტი. აქედან მარტო წითელწყაროს რაიონში გათიბულია 9.429 ჰექტარი, დაკალება შესრულებულია 67,4 პროცენტით.

თიბვის გეგმები შესრულეს ახმეტის, ზაზარის, ყვარლის, ვერეისა და ლაგოდეხის რაიონებმა.

გეგმები 80-ზე მეტი პროცენტითაა შესრულებული კაჭრეთის, ბოლნისისა და სიღნაღის რაიონებში, 60-ზე მეტი პროცენტითაა — თელავისა და მარნეულის, 50-ზე მეტით — გარდაბნისა და ასპინძის, ხოლო 40-49 პროცენტით — ქარელის, საგარეჯოს, ჭიათურის, ცხინვალის და ალსის რაიონებში. ნაკარჩენ რაიონებში დაკალება უფრო ნაკლები პროცენტითაა შესრულებული.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები წარმოების ავანგარდში

რკინიგზის გურჯაანის კვანძის პარტიული კომიტეტის (მდივანი ამხ. ბ. ბერეკაშვილი) სხდომაზე საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების შედეგებს იხილავდნენ. ამავე სხდომაზე გადაწყვეტეს გაიმართოს სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღისათვის წარმართებით შესახვედრად. პარტიულმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ეს იყო მიმდინრე წლის 29 აპრილს.

საკითხი გადაიტანეს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. კომუნისტები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი. რკინიგზელის ტრადიციული დღისათვის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად შეჯიბრებაში ჩაება კვანძის მთელი კოლექტივი.

ორი თვის შემდეგ პარტიულმა კომიტეტმა მოისმინა მოხსენება მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხზე. გამოირკვა, რომ გურჯაანელი რკინიგზელები პირნათლად ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

საორთქლმავლო დეპომ მეორე კვარტალის გარბენის გეგმა 123,2 პროცენტით შეასრულა, ორთქლმავლების ფიკეთებისა — 115 პროცენტით. დაზოგილია 137.646 კილოგრამი საწვავი მასალა. საწვავის მომჭირნეობით ხარჯვიასა და ორთქლმავლების მოვლაში თავი ისახელეს კომუნისტმა მემანქანეებმა. ივნისში „კომუნისტმა ი. მარკოზაშვილმა დაზოგა 2.626 კილოგრამი საწვავი, ი. აბრამიშვილმა — 2.023, კ. ძაგანიმ — 2.200, შ. ბასოშვილმა 2.499 და სხვ.

საორთქლმავლო დეპომ გეგმების გადაჭარბებით შესრულება პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაძლიერებით შეძლო. კარგად მუშაობს საორთქლმავლო დეპოსთან არსებული აგიტკოლექტივი (ხელმძღვანელი ივ. მარკოზაშვილი), აგიტსემინარებზე ზშირად ისმენენ საწარმოო ხასიათის მოხსენებებს, აგიტატორები შ. ქურციკიძე, ს. მელიქიძე და სხვები წარმოების ავანგარდში დგანან.

მოძრაობის დარგი ვერ ასრულებდა გეგმებს. პარტიულმა კომიტეტმა საფუძვლიანად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზი, მოეთათბირა ხელმძღვანელ მუშაკებს (სადგურის უფროსი ი. გვანცელაძე, პარტბიუროს მდივანი ნ. საბაშვილი) და ერთად დასახეს ღონისძიებანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. პარტკომის საქმანი ჩარევის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ივნისის ჩვენებებების მიხედვით გურჯაანის სადგური თბილისის გზის განყოფილების მასშტაბით პირველ ადგილზე გამოვიდა. ვაგონების დატვირთვის გეგმა შესრულებულია 136 პროცენტით, გადმოტვირთვისა — 245 პროცენტით, ადგილობრივი ვაგონების მოცდენა შემცირებულია 1,7 საათით, ხოლო სატრანზიტო ვაგონებისა — 0,3 საათით. საუკეთესოდ იმუშაეს სადგურის მორგის კომუნისტ ამხ. გ. კობიაშვილის ცვლამ და ვაგონის შემდგენლებმა გ. ნიკოლეიშვილმა, უფროსმა მეისრეებმა — კომუნისტებმა ნ. სონღულაშვილმა და ს. ბეჟომელიძა.

გეგმების წარმატებით ასრულებენ ვაგონშემკეთებელი პუნქტის (უფროსი ვ. გოგიჩიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. სეფიაშვილი) მუშაკები. გურჯაანელმა მევაგონეებმა სოციალიზირებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდების საქმეში წელს ორჯერ გაიმარჯვეს. წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით შესასრულეს 22 ვაგონის წლიური რემონტი და 148 ვაგონის გამაჯანსაღებელი რემონტი. მევაგონეები მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან.

მე-12 სალიანდაგო დისტანციის მე-10 საოსტატოს გზის ოსტატმა კომუნისტმა გ. სონღულაშვილმა, ჩაება რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რკინიგზელის დღის აღსანიშნავად იკისრა დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულება. ნახევარი წლის შედეგების შემოწმებისას გზის ოსტატი გ. სონღულაშვილი გამარჯვებული გამოვიდა მე-11 საოსტატოს გზის ოსტატ დ. ყარალაშვილთან შეჯიბრებაში და გადაიცა გარდამავალი წითელი დროშა. სონღულაშვილს აქვს მნიშვნელოვანი გამოგონებაც. მან გამოიგონა ლიანდაგის ეგრეთწოდებული „დასარიხტოკებელი“ (შეასწორებელი) ხელსაწყო, რომელიც ნაკლებ მუშახელს მოითხოვს და შრომის ნაყოფიერებას 160 პროცენტით ადიდებს.

გურჯაანელ რკინიგზელებს მუშაობის გაუმჯობესების მეტი შესაძლებლობა აქვთ. მათ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღისასწაულს უკეთესი მაჩვენებლებით შეხვდნენ.

ი. თევდორაშვილი

თიანეთის რაიკომის პლენუმზე

საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის ძორგ პლენუმზე, რომელიც ამასწინათ შედგა, განხილულ იქნა მეცხოველეობის განვითარების საკითხი. მოხსენებით — „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949-1951) და რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. დვალი.

— რაიონის პარტიულმა, საბჭოთა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა, — თქვა მოხსენებელმა, — უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში. მოუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში (ბოდახევის, ახალსოფლის და ჩაბანის კოლმეურნეობები) პირუტყვის ცუდი კვებისა და მოვლის შედეგად ადგილი აქვს ცხოველთა სიკვდილიანობას. დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობაც. რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ არის მეცხოველეობის ყველა სახის ფერმები. არადამაკმაყოფილებელად ტარდება პირუტყვის პროდუქტიულობის და ჯიშობრივი თვისებების მასობრივი გაუმჯობესების ღონისძიებები, სათანადო დონეზე არ დგას პირუტყვის ზოოვეტერინარული მომსახურებაც.

რაიკომის პლენუმმა აღნიშნა, რომ საკვები ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა წარმოადგენს ამჟამად მთავარ დაბრკოლებას პირუტყვის სულადობის სწრაფი ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ახალსოფლის, იარაჯალების და ტუმურების) წლითიწლობით არ სრულდება საკვები კულტურების თესვის, აგრეთვე საკვების დასილოსების გეგმები. სასილოსე კულტურების თესვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენენ ბოდახევისა და შარახევის კოლმეურნეობები. ცუდად არის დაყენებული აგრეთვე საზოგადოებრივი პირუტყვის სადგომებით უზრუნველყოფის საქმე.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. ჭინჭარაულმა (სოფელ სიმონიანთხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ბუჯიაშვილმა (სიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), დ. მხეიძემ (გუდანლების მარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ნადირაძემ (რაიონის უფროსი ვეტექიმი), დ. მიჩაიძემ (საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების გამგე), გრ. ჭინჭარაულმა (რაიკომსკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე) და სხვებმა.

პლენუმმა რაიკოპერაციის 1948 წლისა და 1949 წლის 5 თვის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. კ. ჭინჭარაულის მოხსენების განხილვის შემდეგ, მიიღო სათანადო ღონისძიებანი მეცხოველეობის განვითარებისა და რაიკოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. **(სპეც. კორ.).**

მოდის შირაქის პური

იშვიათი სანახაობა ახლა შირაქის ველი. თვალსაჩინოდ იგრძნობა ადამიანის მზრუნველი ხელი. თვითეულ ჰექტარზე 20-30 ცენტნერი პურის მოსავალი მასობრივი მოვლენაა. დღითიდღე ძლიერდება პურის აღება, გაწმენდილ, გამრთა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. პური უკვე აღებულია 12.238 ჰექტარზე, გეგმის 61,8 პროცენტი. სოფელ არბილისკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა სოციალისტური შრომის გმირი ივ. ქაჯარაძე, 1,400 ჰექტარი ყანის აღება უკვე მთავრდება. განსაკუთრებით დიდი მოსავალი მოიყვანეს იმ ბრიგადებმა, რომელსაც ალ. სეფური და სოციალისტური შრომის გმირი ს. კობაიძე ხელმძღვანელობენ. კომკავშირელმა ქალიშვილმა მერგოლურამ ს. ბუჩუკურმა 17 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 28,5 ცენტნერი პური აიღო, რგოლის დანარჩენ 68 ჰექტარზეც უზვი მოსავალია. ასევე უზვი მოსავლის მიღება უზრუნველყვეს კოლმეურნეობაში მერგოლურებმა თამარ თუმანაანურმა, ანა დავითურმა, თამარ უგანურაშვილმა, თამარ ვარდენაშვილმა, მარო ქუზურაშვილმა და მაშო ქარჩიაძემ. 200-250 კოლმეურნე ყოველდღიურად აგროვებს მინდვრად დარჩენილ თავთავებს, დგამს ნამჯის ზვინებს. კოლმეურნეობა ყოველდღიურად ათეულ ტონა პურს აბარებს სახელმწიფოს. სულ გათავლისწინებულია 800 ტონის ჩაბარება.

კარგი მოსავალია ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 1.370 ჰექტარი პურეული უთესიათ, აქედან 1.223 ჰექტარი ხორბალი. აქ მეოთხე რგოლის მერგოლურმა გიგო ქადაგიძემ ორ ჰექტარზე 60,4 ცენტნერი ხორბალი აიღო. 200 ჰექტარზე ხორბლის საუკეთესო მოსავალი მოიყვანა მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც გ. ყორიაშვილი ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს მერგოლურებმა შ. იაკობაშვილმა და ს. გოგლაშვილმა.

კოლმეურნეობაში კარგად არის მოწყობილი ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. ყოველდღიურად თავთავების აკრეფაზე 150 ქალი მუშაობს. ისინი ღღეში 200 ფუთამდე თავთავს აგროვებენ. სტახანოველმა კოლმეურნეებმა ვარო ქადაგიძემ, ანა ღვინიაშვილმა, საშა ზალდასტანიშვილმა, თინა იაკობაშვილმა და ლიზა შოშიაშვილმა თვითეულმა პურის ხელით მკის დაკალება 160 პროცენტით შეასრულეს.

პურეულის აღებაზე რაიონში მაღალნაყოფიერად მუშაობენ მოწონავე კომბაინერები, ტრაქტორისტები და ავტოტრანსპორტიორები. მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე რაიონში დაწინაურდნენ კომბაინერები ი. მელიქიშვილი, გ. დოლიძე, მ. დარჩიაშვილი, შ. პატაშური, ნ. კობაიძე, ს. ოგბაიძე, ხ. და ა. ბეჭაურები.

არის სერიოზული ნაკლიც. ჯერ კიდევ ყველა კომბაინერი როდი მუშაობს დამაკმაყოფილებლად. 15 ივლისს კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ კომბაინი, რომელსაც ი. ბეგიაშვილი მართავდა, ვ. ყორიაშვილის ბრიგადაში ნამჯას დიდი რაოდენობით აყოლებდა მარცვალს. სოფელ ზემო ქედის სტალინის, სახელობის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი ს. ჩოხელი) პურის კალოზე აწონას მტს-იდან არავინ ესწრებოდა. აქ 5 დღის მანძილზე აღებული პურის ფართობი არ გაუზომავთ და დღეურებიც არ შეუდგენიათ. 15 ივლისს ადგილზე სპეციალური ბლანკებიც არ აღმოაჩნდათ. პურს წონიდა მხოლოდ კოლმეურნეობის მწონავი და რაოდენობას უბრალო რვეულში იწერდა. სოფელ არბილის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერ ვ. გვეტაშვილს 7 დღის მანძილზე კომბაინი სამჯერ გაუჩერდა. 15 ივლისს მისი კომბაინი თითქმის მთელი დღე უქმად იდგა. ამავე კოლმეურნეობის ფართობზე 15 ივლისს მომცდარი იყო ალ. ბეჭაურის კომბაინიც მთავარი ღერძის გატეხის გამო.

ზემო ქედის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ (თავმჯდომარე ს. ბეჭაური) პირველი ბრიგადის კალო მოუმზადებელი აღმოჩნდა. აქ მიწა და ხორბალი ერთმანეთში იყო არეული. სავლე საწყობის გამგე ს. ჩოკურიმ 60 კილოგრამამდე ხორბალი აიწონა-ვად დაყარა პურის ხვავთან. მასვე არ აღმოაჩნდა ლაწვნის დღიურები. მერგოლურ ეთერ ზაკაიძის ნაკვეთში კომბაინის მარცვალმჭურიდან მიღებული 3 კილოგრამამდე ხორბალი მინდვრად მიატოვეს. აქვე 13 ივლისს მტს-ის მწონავმა თამარ ბუჩუკურმა სამუშაო უნებართვოდ მიატოვა. მინდვრად დარჩენილია თავთავები, რის შესაგროვებლად კოლმეურნეობის გამგეობას ზმბები არ მიუღია. თავთავების შეგროვებას აპაიურებს წითელწყაროს კოლმეურნეობა „კომუნარიც“ (თავმჯდომარე ა. მაჭავარიანი).

მოსავლის აღებას მოუმზადებელი შეხვდა ზემო ქედის კოლმეურნეობა „მრომის იმედი“, რომლის თავმჯდომარეა კ. კობიაშვილი. აქ 2 სატვირთო ავტომანქანა შეუკეთებელია, ხორბლის ჩასაყრელად არა აქვთ ტომრები, ამის გამო ფურხდება მარცვლის დაბინავება. 200 ტონამდე გალეწილი მარცვლიდან 14 ივლისისათვის არც ერთი კილოგრამი არ იყო მიბმული პუნქტზე მიტანილი.

სოფელ მირზაანის კოლმეურნეობა „კომეშნის გზაში“ 14 ივლისს კომბაინიდან მიღებული მარცვლის ჩაბარებას წითელწყაროს მტს-ის წარმომადგენელი შ. მალადაშვილი არ დასწრებია. იქვე მომუშავე კომბაინერი შ. სეხნიაშვილი მანქანას გაუღეწავ თავთავებს აყოლებს, დანაკარგი ჰექტარზე 2 ცენტნერს აღწევს, მასვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის დავლებით ნამჯის დამბულულებელი მოუხსნია. თავთავების აკრეფად აქ მხოლოდ 5 კოლმეურნე გამოუყვიათ, ფაქტიურად საჭიროა 60-70 კოლმეურნე. საინტერესოა, რატომ არ გააყოლა ახლად მიღებულ კომბაინს სპეციალურად ქარხნის მიერ დამზადებული ნამჯის შემგროვებელი წითელწყაროს მტს-ის დირექტორმა ა. ბიწაძემ? ამავე კომბაინს შეეძლო ბზის შეგროვებაც, მაგრამ ამხ. ბიწაძის მიმპაძვით, მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მანგოშვილმა ეს უკანასკნელიც ზედმეტად მიიჩნია. საინტერესოა, რატომ ივიწყებენ ამხ. ბიწაძე და მანგოშვილი მეცხოველეობისათვის საკვების მომზადების ამოცანას?

შირაქში პურის უზვი მოსავალია. აუღებელი არ დაგტოვოთ არც ერთი კილოგრამი ხორბალი. არ დაეუშვათ დანაკარგები. პური ჩვენი სიმდიდრეა, თვალსაჩინივით გავუფრთხილდეთ თვითეულ მარცვალს.

ტ. თოდრაძე
გ. ყაჯრიშვილი

პურეულის აღება

ივლისის მეოთხე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში 33.170 ჰექტარი პურეული აიღეს, სულ კი 20 ივლისისათვის აღებულია 107.938 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 32,2 პროცენტით.

მოსავლის აღება დამთავრებულია აფხაზეთში და ზესტაფონის, ვანის, წულუკიძისა და სამტრედიის რაიონებში, ხოლო ახმეტის, გარდაბანის, ლაგოდეხის, ქუთაისისა და ჩხარის რაიონებში გეგმის შესრულება 92-99,4 პროცენტს აღწევს.

ყვარლის რაიონში დავალება 86,4 პროცენტით არის შესრულებული, გურჯაანის — 78, სიღნაღის — 74,2, თელავის — 69,8, წითელწყაროს — 61,8, ბოლნისის — 58,4, თბილისის — 52,1, მაიაკოვსკის — 50,7, მარნეულის — 50, კაპრეთის — 49,9, მცხეთის — 28,1, საგარეჯოს — 27,9, თეთრი წყაროს რაიონში — 26,1 პროცენტით. დანარჩენ რაიონებსა და სამხრეთ ოსეთში გეგმა შესრულებულია 3-დან 24-მდე პროცენტით.

კომბაინებით აღებულია გეგმის 54,3 პროცენტი. გარდაბნის რაიონში დავალება შესრულებულია 105,7 პროცენტით, ყვარლის — 81,3, სიღნაღის — 75,2, ახმეტის — 73,2, გურჯაანის — 72,4, ლაგოდეხის — 72,3, თეთრი წყაროს — 69,4, ბოლნისის — 67,4, თბილისის — 65,5, წითელწყაროს — 62,7, თელავის — 62,5, კაპრეთის — 47,8, მარნეულის — 46, საგარეჯოს — 36,4, მცხეთის — 31,5, კასპის — 27,8, ქარელის — 8, ხაშურის — 4, გორის რაიონში — 0,3 პროცენტით.

საბჭოთა მთავრობის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ნოტებზე

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ამა წლის აპრილში ბუღარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობებს გაუგზავნეს ნოტები, რომლებიც შეიცავდნენ ბრალდებას, თითქოს ამ ქვეყნების საზღვარ ხელშეკრულებათა პირობები დაერღვიოთ. ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობებმა უარყვეს ეს ბრალდებანი, როგორც ყოვლად დაუსაბუთებელი და როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების ცდა—ჩარეულიყვნენ ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში.

31 მაისს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობებს გაუგზავნეს ახალი ნოტები, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ ამ ქვეყნების მთავრობებსა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის წარმოიშვა დავა საზღვარ ხელშეკრულებათა განმარტების თაობაზე. ამავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა საბჭოთა მთავრობას მიმართეს წინადადებით — მოწვეულ ყოფილიყო უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური მისიების მეთაურთა თათბირები ამ დავის საკითხის განსახილველად.

11 ივნისს საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს გაუგზავნა ნოტები, რომლებითაც აცნობა, რომ იგი ვერ ხედავს დიპლომატიური მისიების სამი მეთაურის თათბირების მოწვევის საფუძველს და ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მისწრაფება — ხელოვნურად გადაიქცეონ დავის საგნად საზღვარ ხელშეკრულებათა განმარტების საკითხი, — მიაჩნია იმის პირდაპირ ცდად, რომ საზღვარ ხელშეკრულებანი გამოიყენონ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინონ მათს საშინაო პოლიტიკაზე.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა საბჭოთა მთავრობას 30 ივნისს გამოუგზავნეს ნოტები, რომლებშიც კვლავ დაადანეს სამი დიპლომატიური მისიის მეთაურთა თათბირის მოწვევის საკითხი.

19 ივლისს სსრ კავშირის საელჩომ ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა სპასუხო ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„სახელმწიფო მდივნის 1949 წლის 30 ივნისის ნოტასთან დაკავშირებით, რომელშიც კვლავ დასმულია საკითხი დიპლომატიურ მისიათა სამი მეთაურის თათბირების მოწვევისა, რათა განხილულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მისიებისთვის ამა წლის 31 მაისს გაგზავნილ ნოტებში აღძრული საკითხები, სსრ კავშირის საელჩო, საბჭოთა მთავრობის დავალებით, აცნობებთ შემდეგს:

„საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება სახელმწიფო მდივნის ზემოხსენებულ ნოტაში მოყვანილ მოსაზრებებს. კერძოდ, არ შეიძლება დავეთანხმოთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მტკიცებას, რომ ღონისძიებანი, რომელსაც ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობები აზორკეცილებენ შინაგანი საზღვარი მართვის წესით, რათა დაიცვან დემოკრატია პროფაშისტური და სხვა ამგვარი ორგანიზაციების მხრივ ხელყოფისაგან, თითქოს შეიძლება მიჩნეულ იქნან ისეთი კატეგორიის საკითხებად, რომლებიც გათვალისწინებულია ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების 36-ე მუხლით, უნგრეთთან საზავო ხელშეკრულების მე-40 მუხლით და რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების 38-ე მუხლით.

როგორც აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის ამა წლის 11 ივნისის ნოტაში, ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის მთავრობების ეს ღონისძიებანი არათუ არ წარმოადგენენ საზავო ხელშეკრულებათა დარღვევას, არამედ ემსახურებიან ზემოხსენებულ საზავო ხელშეკრულებათა იმ მუხლებით გათვალისწინებულ მიზნებს, რომლებიც ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის მთავრობებს აკისრებენ განაზორციელონ ღონისძიებანი ფაშისტური ტიპის ორგანიზაციების დასაშლელად და მომავალში არ დაუშვან არსებობა და საქმიანობა ამგვარი ორგანიზაციებისა, რომლებიც ხალხთა დემოკრატიული უფლებების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამრიგად, ყოველგვარი მომიზეზება იმისა, თითქოს ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის დაეშვათ საზავო ხელშეკრულებათა დარღვევა, რაც მოითხოვს ამ საკითხების განხილვას დავის განსახილველად დაწესებული პროცედურის შესაბამისად, ხელოვნურია და ამახინჯებს ხსენებულ საზავო ხელშეკრულებათა მუხლების ნამდვილ აზრს.

სსრ კავშირის საელჩოს ამასთან საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სახელმწიფო მდივნის ხსენებული ნოტა, ისევე როგორც სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შესრულებლის 1949 წლის 31 მაისის ნოტა, არ შეიცავს რაიმე ახალ საბუთს აღნიშნული თათბირების მოწვევის სასარგებლოდ.

ზემოხსენებულის გამო საბჭოთა მთავრობა ვერ ხედავს იმის საფუძველს, რომ გადასინჯოს თავისი პოზიცია, რომელიც გეცნობათ სსრ კავშირის საელჩოს 1949 წლის 11 ივნისის ნოტით“.

ამავე დროს ანალოგიური ნოტა გაეგზავნა დიდი ბრიტანეთის მთავრობას სსრ კავშირის ლონდონის საელჩოს მეშვეობით.

(საკდესი).

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 20 ივლისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტებით წლიურისა	ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ბათუმი	46,4	44,4
ქობულეთი	47,0	41,7
სულ აჭარაში	**46,9**	**42,4**
გალი	61,5	65,7
ოჩამჩირე	61,1	64,5
გულრიფში	78,2	62,5
სოხუმი	72,0	95,0
გუდაუთი	72,2	87,3
სულ აფხაზეთში	**62,5**	**66,8**
მახარაძე	49,3	45,2
ჩოხატაური	48,4	43,0
ლანჩხუთი	50,5	48,6
სამტრედია	67,2	78,1
წალენჯიხა	65,8	79,6

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტებით წლიურისა	ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით
ქუთაისი	105,0	133,9
წყალტუბო	59,0	61,6
ტყიბული	67,7	102,3
ცხაკაია	64,2	87,2
ობაში	75,1	109,0
გეგეჭკორი	75,7	100,5
ზუგდიდი	64,1	82,3
წალენჯიხა	57,5	66,9
ჩხოროწყუ	61,9	79,8
ხობი	58,8	71,6
ჩხარი	72,0	54,4
ზესტაფონი	79,0	57,5
სულ საქართველოს სსრ	**55,9**	**58,9**



